ს.ს.ი.პ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

02. 03. 2009 № 25

(თბილისი)

/2008-09 სასწავლო წლის სწავლის საფასურის მეორე ნახევრის გადახდის ვადების განსაზღვრის შესახებ/

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის 2008-09 სასწავლო წლის სწავლის საფასურის მეორე ნახევრის გადახდის ვადების განსაზღვრისა და ამ ვადებში სწავლის საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში პირგასამტეხლოს დაწესების მიზნით

ვბრძანებ:

1. სტუ-ს სტუდენტებმა 2008-09 სასწავლო წლის სწავლის საფასურის მეორე ნახევარი უნივერსიტეტის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხონ 2009 წლის 1 ივნისამდე.
2. სტუდენტი, რომელიც არ შეასრულებს ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულ ვალდებულებას, სემესტრულ გამოცდებზე დაიშვება მხოლოდ სემესტრული გამოცდების დაწყებამდე, ამ ბრძანების პირველი პუნტით დადგენილი თანხისა და გადაუხდელი თანხის 10%-ის ოდენობით პირგასამტეხლოს გადახდის შემთხვევაში.
3. სტუდენტი, რომელიც არ შეასრულებს ამ ბრძანების მეორე პუნქტით გათვალისწინებულ ვალდებულებას, გაირიცხება უნივერსიტეტის სტუდენტთა შემადგენლობიდან.
4. სტუდენტებისათვის ბრძანების გაცნობა დაევალოს ფაკულტეტების დეკანებს და სტუ-ს სტუდენტურ თვითმმართველობას.

5. ბრძანება განთავსდეს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ და სასწავლო კორპუსებში თვალსაჩინო ადგილას და უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ გვერდზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, მისამართზე - ქ. თბილისი უზნაძის ქ. №52 ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მისამართზე - ქ. თბილისი დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი, №6.
7. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

რექტორის მ/შ,
პროფესორი ა. ფრანგიშვილი

ვიზები:
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი,
პროფესორი ქ. ქოქრაშვილი

სამართლებრივი უზრუნველყოფის
განყოფილების უფროსი ბ. მაისურაძე

სტუდენტური თვითმმართველობის
თავჯდომარე თ. დუნდუა